



სსიპ საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის
დირექტორი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

24

02

2020 წ.

№ 56

ქ. თბილისი

პირველი სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმების პროექტთა დაფინანსების თაობაზე

„ეროვნული კინემატოგრაფიის სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის, საჯარო სამართლის იურიდიული პირის- საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის საკონკურო დებულების მე-2 მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტებისა და საექსპერტო კომისიის 2020 წლის 24 თებერვლის #1 დასკვნის საფუძველზე, ვბრძანებ:

1. დაფინანსდეს პირველი სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის 2020 წლის წარმოების დაფინანსების კონკურსში (კონკურსი 2/4) მონაწილე შემდეგი პროექტები:

ა) „წმინდა ელექტროენერჯია“, პროდიუსერი - შპს „ზანგო სტუდია“ (რეჟისორი - ვახტანგ კოტეტიშვილი) - 400 000 (ოთხასი ათასი) ლარით;

ბ) „ორმო“, პროდიუსერი - შპს „ტერა ინკოგნიტა ფილმს“ (რეჟისორი -გიორგი ჩალაური“) - 400 000 (ოთხასი ათასი) ლარით.

2. ბრძანების პირველ პუნქტში განსაზღვრული პროდიუსერებისთვის თანხის გამოყოფა წარმოებაში ჩაშვების მიზნით, განხორციელდეს „ეროვნული ფილმის დებულების“ მე-4 მუხლის შესაბამისად.

3. ბრძანება ძალაში შევიდეს სსიპ საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის ვებ გვერდზე გამოქვეყნებისთანავე.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან 1 (ერთი) თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. #6)

დირექტორის
მოვალეობის შემსრულებელი

მაია ჭილაშვილი